ბრძანება № 1-111

22 12 2021წ.

გორი

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტთა მეხუთე საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „სამართლის აქტუალური საკითხები" ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების, აკადემიური საბჭოს 2016 წლის 15 აპრილის N09-34 დადგენილების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის (16.12.2021. N1378951) და პრაქტიკული სამართლის კლინიკისა და სოციალურ მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელის (12.12.2021. N1354574) სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტთა მეხუთე საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „სამართლის აქტუალური საკითხები" ჩატარების დებულება დანართის შესაბამისად.

2. კანცელარიის უფროსმა უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას.

3. საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილებას დაევალოს ამ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

4. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

5. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი

MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA LEPL GORI STATE TEACHING UNIVERSITY 218076542

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტთა მეხუთე საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის – „სამართლის აქტუალური საკითხები" – ჩატარების დებულება

1. აღნიშნული დებულება განსაზღვრავს სტუდენტთა სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მეხუთე საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „სამართლის აქტუალური საკითხები" (შემდგომში - კონფერენცია) ჩატარების წესს.
2. კონფერენციას ორგანიზებას და სათანადო დონეზე ჩატარებას უხელმძღვანელებს სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პრაქტიკული სამართლის კლინიკისა და სოციალურ მეცნიერებათა კათედრა.
3. კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამართლის და საჯარო მმართველობის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს.
4. კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები უნდა ეხებოდეს თანამედროვე სამართლის აქტუალურ საკითხებს.
5. კონფერენციის სამუშაო ენაა ქართული.
6. კონფერენციაში მონაწილეობის მსურველებმა 2022 წლის 28 იანვრის ჩათვლით ელექტრონული ფოსტის მისამართზე v.balakhashvili@gmail.com უნდა წარმოადგინონ:
ა) პირადი მონაცემების (აპლიკაციის) შევსებული ფორმა დანართი 1-ის შესაბამისად;
ბ) სამეცნიერო ნაშრომი.
7. საკონფერენციო სამეცნიერო ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული სახით შემდეგი მოთხოვნების დაცვით: ნაშრომი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ქართულ ენაზე Microsoft Word-ის დოკუმენტის სახით; ნაშრომისათვის სავალდებულოა Sylfaen შრიფტის გამოყენება; შრიფტის ზომა 11 (გარდა სათაურისა, შრიფტის ზომა სათაურისთვის 12), ინტერვალი 1,5; გვერდის პარამეტრები: დაშორება ზემოდან, ქვემოდან, მარჯვნიდან, მარცხნიდან 2 სმ.; ნაშრომს თან უნდა ახლდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი და რეზიუმე ინგლისურ ენაზე (რეზიუმე არაუმეტეს 300 სიტყვისა). ნაშრომის მოცულობა გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალისა და რეზიუმეს ჩათვლით არ უნდა აღემატებოდეს A4 ფორმატის 12 ნაბეჭდ გვერდს. ავტორის (ავტორების) სახელი და გვარი უნდა მიეთითოს ნაშრომის სათაურის ქვეშ ზედა მარჯვენა კუთხეში უმაღლესი სასწავლებლის, საგანმანათლებლო პროგრამისა და სწავლების წლის მითითებით.
8. კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი წარმოდგენილია შემდეგი შემადგენლობით:
   1. გიორგი სოსიაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი კომიტეტის თავმჯდომარე;
   2. გიორგი ხორბალაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი, კომიტეტის წევრი;
   3. ალექსანდრე მღებრიშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი, კომიტეტის წევრი;
   4. ივანე ბალახაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პრაქტიკული სამართლის კლინიკისა და სოციალურ მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, უფროსი მასწავლებელი, კომიტეტის წევრი;
   5. მარიკა შერაზადიშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, კომიტეტის წევრი;
   6. ანა იმნაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, კომიტეტის წევრი;
   7. ლევან მიდოდაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი, კომიტეტის წევრი;
9. კონფერენციის პროგრამული კომიტეტი წარმოდგენილია შემდეგი შემადგენლობით:
   1. ზვიად როგავა, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი, კომიტეტის თავმჯდომარე;

2. ნუნუ კვანტალიანი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, კომიტეტის წევრი;
3. მალხაზ ლომსაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი, კომიტეტის წევრი;
4. მაკა სალხინაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი, კომიტეტის წევრი;
5. დავით გეფერიძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი, კომიტეტის წევრი;
6. ივანე ბალახაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პრაქტიკული სამართლის კლინიკისა და სოციალურ მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, უფროსი მასწავლებელი, კომიტეტის წევრი;

10. თითოეული ნაშრომის შეფასება მოხდება პროგრამული კომიტეტის მიერ და მოწონებული ნაშრომების ავტორები მოწვეულნი იქნებიან კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად.
11. კონფერენციაში მონაწილე მომხსენებლებს გადაეცემათ კონფერენციაში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი.
12. კონფერენცია ჩატარდება 2022 წლის 04 და 05 თებერვალს.

სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
პრაქტიკული სამართლის კლინიკისა და სოციალურ მეცნიერებათა კათედრა

სტუდენტთა მეხუთე საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სამართლის აქტუალური საკითხები“

04 და 05 თებერვალი, 2022

სტუდენტის / სტუდენტების გვარი, სახელი:
მისამართი:
ტელეფონის ნომერი: მობილური: სახლი:
ელ-ფოსტის მისამართი:
უმაღლესი სასწავლებლის დასახელება:
ფაკულტეტის დასახელება:
საგანმანათლებლო პროგრამა: ☐ საბაკალავრო ☐ სამაგისტრო ☐ სადოქტორო
სწავლების წელი: ☐ პირველი ☐ მეორე ☐ მესამე ☐ მეოთხე
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
ნაშრომის სათაური:
ხელმძღვანელის გვარი, სახელი, თანამდებობა: